

## სასესხო და საკრედიტო ურთიერთობებზე პანდემიის გავლენის შედეგად ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა

# სასესხო და საკრედიტო ურთიერთობებზე პანდემიის გავლენის შედეგად ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა

კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, თითქმის 1 წელია, ქვეყანაში შეზღუდულია არაერთი ეკონომიკური საქმიანობა, რის გამოც საკმაოდ ბევრმა ადამიანმა შემოსავალი დაკარგა. ამან საფრთხის ქვეშ დააყენა მათ მიერ სასესხო და საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების საკითხი. ამ გამოწვევასთან გასამკლავებლად პანდემიის საწყის ეტაპზე ფიზიკურ პირებს კომერციულ ბანკებში სესხის მომსახურების 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცათ. მოცემული ვადის გასვლის შემდეგ კი დამატებითი 3-თვიანი საშელავათო პერიოდით ისარგებლებს პირებმა, რომლებსაც პანდემიის გამო შემოსავალი შეუმცირდათ ან საერთოდ დაკარგეს. გარდა ამისა, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ასეთ სესხებს შეუნარჩუნდებოდა სტანდარტული ვადები და გადავადება ნეგატიურად არ აისახებოდა მოვალის საკრედიტო ისტორიაზე.[1]

სამწუხაროდ, ამ ღონისძიებებმა ვერ შეძლო კრიზისის შედეგად დაზარალებული პირების

# საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რეალური დახმარება და არათუ ხელი შეუწყო მათი სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებას, არამედ საშეღავათო ვადის გასვლის შემდგომ, გარკვეულწილად, გააუარესა მათი მდგომარეობა. სიტუაციასართულებს ისიც, რომ არათანმიმდევრული მიდგომისა და სახელმწიფოს მიერ საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოუწესრიგებლობის გამო, ადამიანებს, რომლებიც სახელშეკრულებო ურთიერთობაში არიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებსა თუ კერძო პირებთან, ზემოხსენებულისაშეღავათო პერიოდითაც კი არ მიეცათ სარგებლობის უფლება.

სრული ვერსია იხილეთ **ბმულზე**

---

[1] Covid-19-ის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებების ანგარიში, (2020), 78. ხელმისაწვდომია:

[http://gov.ge/files/76338\\_76338\\_444796\\_COVID-19angarishi...pdf](http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf).